მზია სურმანიძე
ნინო გოგიტიძე

ბათუმის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარი საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით

(ფონდ ი-43-ის მიმოხილვა)

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავში დაცულ ბათუმის მართლმადიდებელური ტაძრის მშენებლობის კომიტეტის ფონდში ინახება ცხრა საქმეთა ერთეული. მასში თავმოყრილია ბათუმის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის მშენებლობის პროცესში შედგენილი დოკუმენტები, 1887-1901 წლების ძნელად წასაკითხი რუსულენოვანი მეტად საინტერესო ხელნაწერები, რომლებიც დეტალურად წარმოგვიდგენენ სამშენებლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს

ასს ცსა, ფონდი ი-43; ანაწ. 1, საქ. 3; ფ. 143

ფონდში დაცულია აგრეთვე: მშენებლობის კომიტეტის ოქმები თანდართული შეტყობინების ფურცლებით, შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, მოხსენებები შემოსულ და გახარჯულ თანხებთან დაკავშირებით; მიმოწერები ქუთაისის

სამხედრო გუბერნატორთან, ბათუმის პოლიცმეისტერთან, სხვადასხვა უწყებებთან საამშენებლო საქმის წარმოების, ტაძრის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოების დასრულების, ნებაყოფილობით შემოწირულობების შესახებ; მოთხოვნის უწყისები და თანამშრომელთა შენახვის ხარჯები, ისტორიული ცნობა სამხედრო-საინჟინრო უწყების უფლებების შესახებ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით; ქუთაისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული საამშენებლო საჭიროებების უწყისები ფასების მითითებით, ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო თანხების შესაგროვებლად კომიტეტის მიერ დაბეჭდილი მოწოდების ბლანკები, შემომწირველთა სიები და სხვა დოკუმენტები.

<u>საქმე №1-ში</u> დაცულია ტაძრის მშენებლობის კომიტეტის მიერ ჩატარებული სხდომის ოქმები, რომელსაც თან ერთვის წევრებისათვის წინასწარ დაგზავნილი შეტყობინების ფურცლები. სხდომები იმართებოდა გუბერნატორის, ბათუმის პოლიცმეისტერისა და საქალაქო მმართველობის შენობებში. საქმეში საწყისი ოქმი დათარიღებულია 1887 წლის 10 სექტემბრით. სხდომას უძღვებოდა საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, თავადი **ნიკოლოზ ბიძინას-ძე ერისთავი,** ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: **გრევე, სევერინი, ვეკმანი, პროტეიერი სიმონ ქიქოძე, გედევანოვი, კარცოვი, ლობკო და ცვეტკოვი.** სევერინმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ნებართვის საფუძველზე, განიხილა ტაძრის პროექტის საკითხი და წევრებს აცნობა, რომ პროექტის შედგენაზე თანხმობა განაცხადეს და პასუხისმგებლობა აიღეს თბილისის არქიტექტორებმა **ლუბლიანოვმა და გოლიანცევმა,** ისინი კომიტეტის წევრებს წარუდგინეს მომდევნო სხდომაზე, რომელსაც ასევე დაესწრნენ **ვოზნესენსკი, სტეფანოვი** და სხდომაზე სპეციალურად მოწვეული ინჟინერი **პასეკი.** კრების ამოცანა იყო, რომ არქიტექტორებს პროექტის შედგენისას გაეთვალისწინებინათ არქიტექტორ **კოსიაკოვის** ესკიზი და მისი სტილი დაცული ყოფილიყო. (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 12, 16)

დოკუმენტებიდან ნათელია, რომ კომიტეტსა და არქიტექტორებს შორის 1887 წლის 30 ნოემბერს მომხდარა შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით: არქიტექტორები თავის თავზე იღებდნენ პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას. ტაძარი გათვლილი უნდა ყოფილიყო 1000 მლოცველზე, ხატებისა და ზარების ღირებულება 200 ვერცხლს არ უნდა გადაცილებოდა. საამშენებლო ქვის მასალა არქიტექტორებს უნდა შეერჩიათ, ხოლო მასალის ჩამოტანაზე პასუხისმგებლობა კომიტეტს უნდა აეღო. ეს ეხებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე ქუთაისისა და თურქეთის ქვის სინჯებს. პროექტი, რომლის ღირებულება იქნებოდა 1500 რუბლი, არქიტექტორებს კომიტეტისათვის უნდა წარედგინათ არაუგვიანეს 1888 წლის პირველი მაისისა. (ფ.19)

1887 წლის 4 დეკემბერს ქუთაისის გუბერნატორის მიერ ერისთავისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის ადგილისა და არქიტექტორის მიერ მითითებული პირობების გასაცნობად ბათუმში მივლინებით იგზავნებოდა ტექნიკურ მშენებლობათა კომიტეტის წევრი ინჟინერ-არქიტექტორი **ნოვიცკი** (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 30)

1888 წლის 12 თებერვლის ანგარიშში წარმოდგენილია სამხედრო გუბერნატორისადმი საეკლესიო კომიტეტის მიმართავა, რომლითაც ითხოვს კომიტეტის წევრად არქიტექტორ **პანასევიჩი**ს დანიშვნას (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 35).

ამავე საქმეში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც ეხება კონკურსის გამოცხადებას ტაძრის პროექტის შესადგენად. ეს საკითხი განხილულა 1887 წლის აპრილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი **სმეკალოვი**. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე განუხილავთ პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების მიერ 1886 წლის 22 ნოემბერს გამოგზავნილი წერილი. ორი აგვისტოს სხდომაზე კი განიხილეს საკონკურსო პირობები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცვლილებები საგრძნობლად გაზრდიდა ტაძრის მშენებლობის ხარჯებს. (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 37) (იხ. დოკუმენტი N 1. ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 12)

ამავე საქმეში დაცულია იმ მუშების სია, რომლებმაც ინჟინერ **კარცევისაგან** მიიღეს ანაზღაურება ასაშენებელი ტაძრის ადგილზე ჩატარებულ გრუნტის საკვლევ სამუშაოებში**: დადაშ ჰასან, ახმედ ხუდავერდი, არიუს ირინუსი, აბრაამ ივანოვი, ზაქარ სიროპოვი, აჯიბა ხასან, ხაბიტ რიბიუხალო, სეფერ ბაიბიკოვი** (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 39).

ტაძრის ასაშენებლად საჭირო აღჭურვილობის შესაძენად 1882 წლის მარტიდან 1888 წლის თებერვლამდე, სხვადასხვა პირებს და დაწესებულებებს გაუღიათ შემოწირულობანი, რასთან დაკავშირებითაც სამშენებლო კომიტეტის წევრების – **გედევანოვის, ქიქოძისა და გრევეს** მიერ შედგენილია რევიზიის აქტი. საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 48).

შემომწირველთა შორის დასახელებული არიან საიმპერატორო ოჯახის წევრები, მათ შორის პრინცი ალექსანდრე პეტრეს-ძე ოლდენბურგსკი, ასევე სასულიერო პირები: იმერეთის ეპისკოპოსი **გაბრიელ ქიქოძე, კიევის მიტროპოლიტი პლატონი, პროტეიერი ფლორინსკი, პეტრე ბოტკინი** და სხვები, რასაც ადასტურებს ბათუმის მართლმადიდებლური ტაძრის სამშენებლო კომიტეტის მიერ 1883 წლის ივლისში მ. ა. ხიუდოვზე სახელზე გაცემული შემოწირულობათა ფურცელი (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 61).

მშენებლობის პროცესში დღის წესრიგში დადგა ტაძრის აშენებაზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.ამ წინადადებით გამოსულა აპრილის სხდომაზე ინჟინერი **ოზეროვი.** მისი აზრით ეს პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა **ქალაქ ხერსონის ტაძრის მშენებელ** არქიტექტორ **არნოლდს** (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 167). აღნიშნულთან დაკავშირებით საქმეში დაცულია ერისთავსა და ინჟინერ-არქიტექტორსა და სწავლულ მრჩეველს **იოსებ რომუალდის-ძე პანასევიჩს** 1888 წლის 16 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით პანასევიჩი თავის თავზე იღებდა ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობას უკვე არსებული გეგმის და ნახაზების მიხედვით (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 193).

თავად ერისთავს უფლება მიეცა კომიტეტის ახალ წევრად წარედგინა ქუთაისის საგუბერნიო ინჟინერი **ალექსანდრე ეგორის-ძე ოზეროვი,** რაზეც მეტ-

ყველებს სამხედრო გუბერნატორის 1888 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებული წერილი (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 199).

ტაძრის საფუძველის ჩაყრის დღისათვის საჭირო იყო სხვადასხვა საკითხების მოწესრიგება, გენერალური გეგმის მიხედვით მათი გადანაწილება, რის შესახებაც საუბარია აგვისტოს სხდომების ოქმებში. კომიტეტის რამდენიმე წევრმა მოითხოვა წმ. ალ. ნეველის მართლმადიდებლური ტაძრის აშენების ინიციატორის სმეკალოვის სახელის დამატება ვერცხლის დაფაზე. უნდა დაედგათ პავილიონი, სადაც ჩატარდებოდა ვედრება, წინასწარ უნდა მომზადებულიყო ხის ჯვარი და კარავი სამრეკლოსათვის და ა. შ. (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 206).

კომიტეტის წევრი, სწავლული მრჩეველი გედევანოვი, კომიტეტისადმი გაგზავნილ განცხადებაში, ითხოვს პროტეიერ სიმონ ქიქოძისათვის ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც მან გაწია ბათუმში წმ. ალ. ნეველის ტაძრის საძირკვლის ჩაყრისათვის, იმპერატორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების მისაღებად. ფოთიდან ჩამოსული გურია-სამეგრელოს **ეპისკოპოსი გრიგოლი** დაბინავებულა ქიქოძესთან, ხოლო თანმხლები ოცი მგალობელი, მღვდელი და დიაკვანი მათთვის დაქირავებულ ბინებში (ასს ცსა, ფონდი N ი-43, ან.1, ს. 1, ფურც. 237).

ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მსჯელობა გამართულა 1889 წლის 18 აპრილის სხდომაზე, რომლის შესახებ მასალები უხვადაა **N 2 საქმეში.** კომიტეტმა სხდომაზე იმსჯელა ბათუმის მეტეოროლოგიური პირობების შესწავლის, სამშენებლო მასალის შეძენის, ტაძრის გუმბათისათვის რკინის კონსტრუქციის შეკვეთების, ფასებთან დაკავშირებით სანკტ-პეტერბურგის რკინის ქარხნის დირექტორ მიურიზიესთან მოლაპარაკების საკითხებზე. განმარტებით ბარათს ხელს აწერს ინჟინერი **ვ. გერბინი. დოკუმენტებიდა ჩანს, რომ** ბალტიისპირეთის რკინის ქარხნის წარმომადგენლობას უარი განუცხადებია შეკვეთის მიღებაზე (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 2, ფურც. 2, 7, 12, 95)

<u>საქმე №3</u>-ში წარმოდგენილია ქალაქის თავის ლუკა ასათიანის წერილი. იგი ეხება სამღვდელოებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და სამხედრო უწყებასთან შექმნილ უთანხმოების საკითხს. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ითხოვდა კომიტეტი სამღვდელო პირთათვის საცხოვრებელი სახლის ასაგებად, ეკუთვნოდა სამხედრო უწყებას, რომელსაც მიწის სანაცვლოდ ქალაქის მმართველობისაგან მოუთხოვია ფული. მმართველობამ კი შესთავაზა სამლოცველოს აგება საკუთარი სახსრებით, რაზედაც სამხედრო უწყებამ უარი განაცხადა. ე.ი. მიწის გაცვლა არ შედგა. სამხედრო უწყებამ სასამართლოში შეიტანა საქმე. (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 2, ფურც. 34)

სხვადასხვა უწყებებს ადმინისტრაციული წესით გამოეყოთ მიწის ნაკვეთები სხვადასხვა დანიშნულებისათვის. ჰოსპიტლისათვის გამოუყიათ ორი ნაკვეთი, კერძოდ: ერთი, სადაც განთავსებული იყო ჰოსპიტლის შენობები და მეორე, სადაც შემდეგში აშენდა სამლოცველო, საცხოვრებელი სახლები, ცხენების სადგომი და სათავსო. ძველი თურქული ჰოსპიტლის №3-ე ბარაკი მიწის ჩათ-

ვლით ჩაირიცხა ქალაქის ფონდში. 1886 წელს შედგა თანხმობა მიწის მომწყობ კომისიასა (არქიტექტორი კარცოვი) და სამხედრო საინჟინრო მმართველობას (ჭოროხის საინიჟინრო უწყების უფროსი) შორის მიწის გაცვლასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება. მიწის სანაცვლოდ ქალაქის მმართველობას თავისი სახსრებით უნდა აეშენებინა ისეთივე სამლოცველო. შედგა შესაბამისი გეგმა პოლიცმეისტერ **ვოზნესენსკის,** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე **ერისთავის** და საინჟინრო დისტანციის უფროსი პოდპოლკოვნიკი **ვეკმანის ხელმოწერით.** 1891 წელს საქალაქო მმართველობამ მოითხოვა ზუსტი ადგილი **სამლოცველოს ასაშენებლად,** მაგრამ 1892 წლისათვის შეიცვალა სიტუაცია. შეცვლილი გეგმის მიხედვით მშენებლობა უფრო მასშტაბური და ძვირი დაჯდებოდა. ამიტომ სათათბირომ 1893 წლის აპრილის სხდომაზე გადაწყვეტილებით უარი განაცხადა მიწის გაცვლაზე. 1894 წლის ივნისში კი შესაბამისი დოკუმენტით საერთოდ იქნა უარყოფილი ქალაქის უფლებები ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. უარყეს ქალაქის უფლებები **შეპელევისა და სმეკალოვის** კუთხეში მდებარე ნაკვეთზეც. საინჟინრო დისტანციის სამმართველომ მიისაკუთრა მანამდე ქალაქის განკარგულებაში არსებული მიწის ნაკვეთები, შემოსაზღვრა ეს ტერიტორია და **ააშენა ახალი სამლოცველო** (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 37, 38)

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული **აფხაზებით დასახლებული „ნურიეს“** კვარტალის შესახებაც. ამ საკითხს ეხება ამონაწერი გენერალ-ლეიტენანტ კომაროვის 1879 წლის 11 ივნისის მოხსენებიდან. კვარტალი უნდა დაყოფილიყო გასახლებულ და დარჩენილ აფხაზ ოჯახებად, განსაზღვრული მიწის რაოდენობით. დარჩენილი მიწის ნაკვეთები უნდა ჩათვლილიყო ქალაქის საკუთრებად, რაზედაც თანხმობას აცხადებს კავკასიის არმიის მეთაური, გენერალ-ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. დოკუმენტის სისწორეს ადასტურებს განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ბრაკკერი** (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 46)

ტაძრის მშენებლობა გაჭიანურებულა. კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში არქიტექტორი **მალამა** ცდილობს ახსნას რომ გაჭიანურების მიზეზი და მას რკინაზე დიდ მოთხოვნილებას და მიწოდების შეფერხებას უკავშირებს. მალამა მოითხოვდა ხის მასალის შესწავლას ფასის და გამძლეობის მიხედვით. მისი აზრით კავკასიური მუხა წაბლის მასალით უნდა ჩანაცვლებულიყო, რადგან იგი არ გამოირჩეოდა კარგი თვისებებით. ბათუმში არ იყო არანაირი საამშენებლო მასალა, მითუმეტეს რკინა. ამიტომ მასალები უნდა გამოეწერათ. ეს კი დაკავშირებული იყო დროსთან. აღნიშნული მიზეზები აფერხებდა სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. მალამა მოითხოვდა ნახაზებს, სადაც მითითებული იქნებოდა აღნიშნული სამუშაოების შესასრულებელი მასალების სახეები (რკინის, ხის) და რაოდენობა. 1894 წლის 8 ნოემბერს გაფორდა შესაბამისი კონტრაქტი. არქიტექტორმა მალამამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. ტაძრის მშენებლობა ერთი წლის განმავლობაში უნდა დაესრულებინა. ამოცანის წარმატებულად განსახორციელებლად მან პეტერბურგიდან გამოითხოვა გამოცდილი სპეციალისტები (ათეული) -ცნობილი არქიტექტორების რეკომენდაციით. ბათუმის ცხელი და ნესტიანი ამინდები უარყოფითად მოქმე-

დებდა სამშენებლო მასალებზე, განსაკუთრებით ცემენტზე. ამიტომ კომიტეტმა ინჟინერ პ. აპიშკოვის რეკომენდაციით მოითხოვა სამუშაოს სექტემბრამდე შეჩერება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო დღესასწაულები და წვიმიანი ამინდები, რაც საეჭვოს ხდიდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოს დასრულებას. მალამა გრძნობდა პასუხისმგებლობას და მოუწოდებდა კომპეტენტურ პირებს მიეღოთ ზომები საამშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 86. 88)

კავკასიის ოლქის საინჟინრო სამმართველოს კანცელარიის 1896 წლის 17 ივნისის წერილში საუბარია მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა მშენებარე ტაძრის კომიტეტი. ნაკვეთი შემოსაზღვრული იყო: დასავლეთით – კომაროვის, სამხრეთით – სმეკალოვის, აღმოსავლეთით- ტაძრის მოედნით და ჩრდილოეთით – უსახელო შესახვევით. ეს ტერიტორია 1879 წლიდან უპირობოდ ეკუთვნოდა სამხედრო უწყებას. იმ დროისთვის მასზე აშენებული იყო ხის ორი №77 და №78, ნაგებობები. ეს შენობები დაშალეს 1895 წელს. ჯერ კიდევ 1881 წელს იქ აშენდა ჰოსპიტლის სამლოცველო, რომლის გეგმა დამტკიცებული იყო 1880 წელს, ნიკოლოზის მიერ. 1882 წელს მიწის ეს ნაკვეთი საბოლოოდ მიეკუთვნა სამხედრო უწყებას. დოკუმენტს ხელს აწერდა ყოფილი სამხედრო-გუბერნატორი **სმეკალოვი.** იმ ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო სასულიერო პირთა საცხოვრებელი (ლაპარაკია ყოფილ, ძველ თურქულ ყაზარმებზე). ქალაქის მმართველობას მათი გასხვისება-არგასხვისების არანაირი უფლება არ ჰქონდა. ჯერ კიდევ 1886 წელს ქალაქსა და საინჟინრო სამმართველოს შორის შედგა შეთანხმება მიწის ნაკვეთის გადაცვლასთან დაკავშირებით, რომლის ფართიც შეადგენდა 819.5 კვ საჟენს მშენებარე ტაძრის მახლობლად. **ამასთან 183 კვ. საჟენი დროებით სარგებლობაში ჰქონდა ჰოსპიტლის სამლოცველოს,** სხვაგან ახალი, ასეთივე ტიპის სამლოცველოს აგებამდე. საინჟინრო უწყებამ ამ ნაგებობებთან ერთად მოითხოვა ქალაქისგან 6686 რუბლი. მოლაპარაკება ჩაიშალა, საინჟინრო უწყებამ მიითვისა შეთავაზებული მიწის ნაკვეთი და არ დათმო კუთვნილიც (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 123, 177)

ქუთაისი სამხედრო გუბერნატორის სამშენებლო განყოფილების უფროსის 1896 წლის 10 ივლისის წერილიდან ირკვევა, რომ ბათუმის ტაძრის მშენებლობის კომიტეტში ახალი წევრების დაუნიშნავთ, კერძოდ: კანცელარიის ხელმძღვანელი, სწავლული მრჩეველი **პოსერბსკი, თავადი პროკოფი შერვაშიძე,** კავკასიის ოლქის ბათუმის განყოფილების ინჟინერი **გურჩინი,** იმავე განყოფილების დისტანციის უფროსი **გაიდაბური** (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 113)

იმავე საქმეში დაცულია დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამოქალაქო დარგში ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის შეტყობინებას კომიტეტისადმი, რომლის მიხედვითაც გრაფი ტოტიშევი საქართველოს ეგზარხოსის დასკვნის შესაბამისად კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე **ბარიატინსკის** შემცვლელად ამტკიცებს ვიცე-ადმირალ **გრევეს** (ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 3, ფურც. 132).

ბათუმის მართლმადიდებელი ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო თანხების შემოწირულობათა შესახებ 1913-1914 წლების მასალები დაცულია **N4 და**

N9 საქმეთა ერთეულებში. მასში წარმოდგენილია წერილები, შემომწირველთა სიები – ხელმოწერებით, გადახდის ქვითრები, კუპონები. შემოწირულობები შემოსულია სხვადასხვა ქალაქებიდან, ორგანიზაციებიდან, კომპანიებიდან და ასევე კერძო პირებისგან. მსგავსი მასალებია დაცული **N5** საქმეშიც. აქ ვხვდებით კომიტეტის წევრების სახელფასო უწყისებსაც, ხოლო **N 6** საქმეში ტაძრის მშენებლობის დაჩქარების შესახებაა უხვი მასალები წარმოდგენილი. ამ საკითხს ეხება კომიტეტისადმი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1899 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილი წერილი. დოკუმენტის მიხედვით უნდა მოპირკეთებულიყო როგორც ტაძრის შიგა ნაწილი, ასევე გალერეა და სამრეკლო. ხატების შექმნისას უნდა გათვალისწინებულიყო ბათუმის მეტეოროლოგიური პირობები. ტაძრის შიგა ნაწილის მოხატვის მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული იმდროინდელი მხატვრების შემოქმედების გაცნობა, რის შესახებაც კომიტეტს მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 6, ფურც. 11, 94, 142, 144.)

ტაძრის სამშენებლო მასალები (სამშენებლო ქვა)პირველი გილდიის ვაჭარის, ბათუმელი არტურ ფიოდორის-ძე **ციმერმანისაგან.** აღნიშნულის შესახებ მასალები მოიპოვება **N 7 საქმეთა** ერთეულში. ნოტარიუს **ზაიკინის** შეტყობინების მიხედვით ირკვევა, რომ იგი დროებით იმყოფებოდა ვარშავაში. მისგან შეძენილი ქვა დასამუშავებლად გადაუტანიათ ციხისძირში. ციმერმანი ითხოვდა ანაზღაურებას. ვარშავაში ყოფნის გამო მისი ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ **ფერდინანდ კარლოს-ძე ბლეი და ალფრედ ვაგსტაფი** (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1, ს. 7, ფურც. 10). საქმეში დაცულია აგრეთვე სხვადასხვა შინაარსის შემცველი მიმოწერები ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან. ერთ-ერთ დოკუმენტში წარმოდგენილია არქიტექტორ მალამას მოთხოვნა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფლიგელისა და ჰიგიენური წერტილისათვის დახურული ფარდულის აგების შესახებ. ამავე საქმეშია **ლაფარჟის** ქარხნის ფრანგული პორტლანდის ცემენტისა და ნოვოროსიისკის პორტლანდის ცემენტის შემოწმების შედეგების ცხრილი (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 7, ფურც. 44, 100)

1895 წლის 14 აპრილიდან კომიტეტის წევრად შეიყვანეს ქალაქის თავი **ლუკა ასათიანი** (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 7, ფურც. 308). გადაწყდა, რომ ზარის ჩამოსასხმელად უნდა გამოეყენებინათ ძველი ზარბაზნები, რაც კომიტეტს ჩაეთვლებოდა საფასურში. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო სამმართველოსა და პეტერბურგის სავაჭრო სახლ „იური გაგარინი და კ“-ს წერილში აღნიშნულია, რომ“ წერილში აღნიშნულია, რომ ტაძრისათვის ზარის ჩამოსასხმელად უნდა გაეღოთ ცხრილი (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 7, ფურც. 147)

ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო თანხები ინახებოდა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაში. 1892 წ. კი შემოღებული იქნა ზონარგაყრილი წიგნი, რომლითაც მკაცრად კონტროლდებოდა შემოსავალ-გასავალი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისებას. **N8 საქმეთა** ერთეულში ამ საკითხებთან დაკავშირებით დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო მასალები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1892-1901 წლებს (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 8).

შემოწირულობების შესახებ მასალებს ვხვდებით **N 9 საქმეთა ერთეულ-შიც. ამასთან დაკავშირებით საქმეში დაცულია თბილისის კალაუბნის** ეკლესიის წინამძღვრის ტიტულიან ბლანკზე შესრულებული ხელნაწერი, რომელიც დათარიღებულია 1913 წლით. დოკუმენტს 20 პირთან ერთად ხელს აწერს **პროტეიერი მ. მონოსელიძე.** გაენათის მონასტრის წიმამძღოლის თანაშემწის **იღუმენ ანთიმოზის** შეტყობინებაში წარმოდგენილია შემომწირველთა სია. შემომწირველთა შორის არიან: იღუმენები – **ანთიმოზი და სოფრომი,** იერომონარქები – **მათე, დოროთი, სილოვანი, დოდო, ვენიცი, გრიგოლი, მორჩლი ანტონი,** იეროდიაკვანები- **ექვთიმე, სევასტი ბრეგაძე, სევერიან და იონა ტყეშელაშვილები, ანტონ ჩაკვეტაძე, ალმასხან ცაგარეიშვილი;** ქვემო მაჩხაანელი ქართველები: **სიკო ტოკლიკიშვილი, გიგა ლოთიფაშვილი, ფიფო ალადაშვილი, სანდრო ყაბალაშვილი, შაქრო წუკალოვი;** ორგანიზაციები: სავაჭრო სახლი „ძმები პ. და ნ. სიმონოვები“, ბათუმის კაპლანის მექანიკური ქარხანა; სოხუმის, ბორჯომის, ახალციხის, თბილისის რკინიგზის და ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლები; ქალაქები: ლენქორანი, კიზლარი, ვლადიკავკაზი, ერევნი, ბაქო, სმოლენსკი, ჩერკასკი, პიატიგორსკი, გროზნო, არხანგელსკი ეკატერინოდარი, ალმავირი, სოჭი; ბათუმის მსხვილი შემომწირველები: თავადი ნიკოლოზ ვარდენის ძე წერეთელი, ხითაროვ-ბესტავაშვილი, წილოსანი, გაბუნია, გიორგი მავროპულო და სხვები (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 9, ფურც. 106, 107, 344, 363-367)

ამავე საქმეში ინახება, ბათუმის მთავარი საბაჟოს ტიტულარული მრჩეველის, **ვასილი ბიქტორის-ძე კონსტანტინოვის** სახელზე გამოგზავნილი მოწმობა, ქალიშვილის – მარიას დაბადებისა და ნათლობის შესახებ. დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ ის დაიბადა 13 აგვისტოს, მოინათლა პირველ სექტემბერს, დედა არის ნადეჟდა ტარასოვა. მოწმობა გაცემულია 1891 წელს, ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესი მიერ. ნათლობა ჩაუტარებიათ ალლექსანდრე რალცევიჩსა და დიაკონ აპოლონ ქიქოძეს. მოწმობას ხელს აწერენ იმერეთის სინოდალური კანტორის წევრები, პროტეიერი **ევსტაფი ელიავა და მდივანი ნაცვალოვი** (ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 9, ფურც. 95).

ამრიგად, აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული ი-43 ფონდი შეიცავს მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტებს ბათუმის მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის შესახებ, რომელიც ერთნაირად საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე მორწმუნეებისა და ზოგადად ფართო საზოგადოებისათვის. მასზე მუშაობამ თვალნათლივ დაგვანახა ამ მეტად მნიშვნელოვანი ფონდის რესტავრაციის საჭიროება.

КОМИТЕТЪ
ПО СБОРУ ПОЖЕРТВОВАНІЙ
НА СООРУЖЕНІЕ
ПРАВОСЛАВНАГО ХРАМА
ВЪ
БАТУМѢ
И
ПО ПОСТРОЙКѢ ОНАГО

№ 3341

143

„17" Октября 1898 г.

№ 191.

ГОР. ~~КУТАИСЪ~~.

Батум

ПОЛУЧЕНО
30 ОКТ. 1898
№ 2885

Начальнику Уѣздному Начальнику.

Въ БОЗѢ Почившій ГОСУДАРЬ ИМПЕРАТОРЪ АЛЕКСАНДРЪ III, въ 15 день октября 1882 года, соизволилъ разрѣшить сборъ добровольныхъ пожертвованій въ Имперіи на сооруженіе Православнаго Храма въ г. Батумѣ, незадолго предъ тѣмъ присоединенномъ отъ Турціи къ Россіи, пожертвовавъ вмѣстѣ съ тѣмъ изъ собственныхъ своихъ суммъ 4000 рублей

Русское общество, по обычаю, съ живымъ участіемъ встрѣтило призывъ къ пожертвованіямъ и щедрыя приношенія потекли на святое дѣло. Въ 17 день іюня 1888 года ГОСУДАРЬ одобрилъ представленный проектъ Собора а во время посѣщенія города Батума съ Августѣйшимъ семействомъ Своимъ 25 сентября того года изволилъ собственноручно произвести закладку Храма. Собранныя, однако путемъ пожертвованій суммы, даже при значительномъ пособіи отъ казны, дали возможность довести постройку Собора только до крестовъ, окончаніе же какъ наружнаго, такъ и внутреннаго устройства Храма должно пріостановиться за недостаткомъ необходимыхъ на то средствъ. Такимъ образомъ возрастаю-

დოკუმენტი 1. ასს ცსა, ფონდი 0-43; ანაწ. 1, საქ. 3; ფ. 143



Повѣстка

Предсѣдатель Церковнаго Комитета Гвардіи Майоръ Князь Эристовъ проситъ Господъ членовъ Комитета пожаловать сегодня Субботы 10 Октября въ 6 часовъ вечера въ Полицейскій Полиціи, для рѣшенія не отложнаго вопроса.

К А Северинъ — Северинъ
Н Г Бекманъ — Н. Бекманъ
А И Греве — Греве
И З Подгевановъ — Подгеванов
Протоіерей Никадзе
И А Лобзо
В Д Карцевъ — Кар
А И Цвитковъ

დოკუმენტი 2. ასს ცსა, ფონდი 0-43, ან.1, ს. 1, ფურც. 12



105

Вице-Председатель Комитета Генералъ-Маіоръ А.А. Самойловъ покорнѣйше проситъ Г.Г. Членовъ пожаловать въ засѣданіе 20-го Октября въ 7½ часовъ вечера въ контору на соборной площади для обсужденія и разсмотрѣнія, по предложенію Г. Кутаисскаго Военнаго Губернатора за № 960 и 962, смѣты на работы Храма на сумму 27536 руб. и на предстоящія работы на 1335 р. руб.

Дѣлопроизводитель Кадаровъ

Благочинный Протоіерей А. Рамцевичъ

Вице-Адмиралъ А.И. Грене

Дѣйствительный Стат. Совѣтникъ Инженеръ П.М. Зубовъ

Дѣйствитель. Стат. Совѣтникъ К.А. Северинъ

Полковникъ Князь П. Шервашидзе

Инженеръ С.И. Гурчинъ

Коллежскій Совѣтникъ И.З. Геворгановъ

Городской Голова Л. Асатіани

Инженеръ Г.А. Гайфедуровъ

Статскій Совѣтникъ М.Л. Семитреннировъ. По случаю поѣздки в Кутаиси, не могу быть в засѣданіи.

19 Октября 1899 года.

ДОКУМЕНТИ 3. ასს ცსა, ფონდი 0-43; ანაწ. 1, საქ. 1; ფ. 105

Вице-Председатель Комитета Генералъ-Маіоръ А.А. Самойловъ покорнѣйше проситъ Г.Г. членовъ пожаловать въ засѣданіе 20с. Октября въ 7½ часовъ вечера въ контору на соборной площади для обсужденія и разсмотрѣнія, по предложеніямъ Г. Кутаисскаго Военнаго Губернатора за № 960, 962, смѣты на работы Храма на сумму 27536 руб. и на предстоящія работы на 135 т. руб.

Дѣлопроизводитель А. Кадаровъ

Благочинный Протоіерей А. Рамѣевичъ

Вице-Адмиралъ А.И. Греве

Дѣйствительный Стат. Совѣтникъ Инженеръ Л.М. Зубовъ

Дѣйствитель. Стат. Совѣтникъ Н.А. Северинъ

Полковникъ Князь П. Церваниидзе

Инженеръ С.И. Гурчинъ

Коллежскій Совѣтникъ И.З. Гедеванов

Городской Голова Л. Асатіани

Инженеръ Г.А. Гайдебуровъ

Статскій Совѣтникъ М.А. Семитреннировъ. По случаю поѣздки в Кутаиса, не могу быть в засѣданіи.

19 Октября 1899 года

დოკუმენტი 4



Повѣстка

Предсѣдатель Церковного Комитета Кавалергардскаго Маіора Князь Эристовъ проситъ Господъ членовъ Комитета пожаловать сегодня Субботы 10 Октября въ 6 часовъ вечера въ Полицейскій Полиціи, для рѣшенія не отложнаго вопроса.

К А Северинъ — Северинъ
Н Г Векманъ — Н. Векманъ
А И Гревe — Грев
И З Тодеванов — Тодеванов
Протоіерей Никадѣ — Никадѣ
М А Лабцо
В Д Карцовъ — Кар
А И Цвитковъ

ДОКУМЕНТИ 5.

გამოყენებული წყაროები:

1. ასს ცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არ-ქივი, ფონდი ი-43, ან. 1, ფურც. 12, 16, 19,30, 35, 37, 39 , 48, 61, 167,199, 206, 237;
2. ასს ცსა, ფ. N ი-43, ან. 1, ს. 2, ფურც. 2, 7, 12, 34, 95;
3. ასს ცსა, ფონდი ი-43; ანაწ. 1, საქ. 3; ფ.37, 38, 46, 86,88, 113, 123, 132, 143,177;
4. ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 6, ფურც. 11, 94, 142, 144;
5. ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1, ს. 7, ფურც. 10, 44, 100, 147, 308;
6. ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 8;
7. ასს ცსა, ფ. ი-43, ან.1 ს. 9, ფურც. 95, 106, 107, 344, 363-367.

Mzia Surmanidze
Nino Gogitidze

Batumi St. Alexander Nevsky Cathedral according to the documents kept in the Archives Administration

Summary

Nine cases are kept in the fund of the Construction Committee of the Batumi Orthodox Church preserved in the fund of the Ajara Archives Administration. It contains documents compiled during the construction of the St. Alexander Nevsky Cathedral in Batumi. It is difficult to read very interesting Russian-language manuscripts from 1887-1901, which present in detail the issues related to the construction process.